სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

06 აპრილი 2026

N 21/4634

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ“-ს
ელ.ფოსტა: infoislandbatumi@ambassadori.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი №2801 სკრინინგის განცხადება, რომლებიც ეხება ქალაქ ბათუმში სასარგებლო წიაღისეულის (გაბრო-დიორიტი), სასაქონლო ბეტონის და ბლოკის საწარმოების ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

ა) სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ხმაურის გავრცელების ფორმულით კალკულაცია და პროგრამული მოდელირების შედეგები. ფორმულით კალკულაციით მიღებული შედეგებით, უახლოეს მოსახლესთან (დაახლოებით 270 მეტრი) მიღებული ხმაურის დონე შეადგენს 41,34 დბA-ს, ხოლო პროგრამული მოდელირების შედეგებით, 205 მეტრში მიღებული ხმაურის დონე შეადგენს 34,9 დბA-ს. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს იმუშავებს 9-საათიანი, ხოლო სასაქონლო ბეტონის საწარმო – 8-საათიანი სამუშაო რეჟიმით. სკრინინგის განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო იმუშავებს ძირითადად დღის ცვლაში, გარდა აუცილებელი შემთხვევებისა. ვინაიდან „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით დღის და ღამის საათებისათვის დადგენილია ხმაურის განსხვავებული ნორმები, საწარმოების სამუშაო საათები (დღე/ღამე) საჭიროებს დაზუსტებას.

ბ) სკრინინგის განცხადების თანახმად, ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი წყლების შეკრებისთვის, ტერიტორიაზე მოწყობილია სალექარი, რომელშიც გაწმენდილი წყალი ისევ საწარმოო პროცესებში ბრუნდება. ვინაიდან ბეტონის წარმოების პროცესში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია კომპონენტის სახით, გაუგებარია რა იგულისხმება „ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილ წყლებში“, ასევე დაზუსტებას საჭიროებს სალექარის ეფექტურობა. გარდა ამისა, დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების პოტენციური დაბინძურების წყაროების არსებობის და ასეთის შემთხვევაში, შემდგომი მართვის შესახებ.

გ) სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ (კოდები, დასახელებები, რაოდენობები, შემდგომი მართვის ღონისძიებები), საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

დ) სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ბიოლოგიური გარემოს აღწერა არის ზოგადი ხასიათის და არ მოიცავს ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების კომპონენტების სრულფასოვანი შეფასებისთვის საკმარის ინფორმაციას. კერძოდ, დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორისა და ფაუნის სახეობრივი შემადგენლობის შესახებ, მათ შორის, საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული და საერთაშორისო მნიშვნელობის სახეობებზე. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაცია არ იძლევა ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების მასშტაბის და მნიშვნელობის შეფასების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/4634-21-2-202604061442

ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •